

მასალები სვანური ლექსიკონისათვის (ბალსზემოური კილოს მიხედვით) II

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სვანური დიალექტური ტექსტების მოძიებელთა ჯგუფის მიერ ზემო და ქვემო სვანეთში (ლენჯერი, ლატალი, ცხუმარი; მელე) საველე პირობებში ჩაწერილ იქნა დიალექტური მასალა. ტექსტებზე მუშაობისას გამოვლინდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ გვხვდება გამოქვეყნებულ სვანურ ლექსიკონებში (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000; ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, 1994; ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, 2007). რამდენიმე სიტყვა ჩვენ მიერ იქნა მოძიებული. ნაშრომში განხილულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

კევანსა//კევანშა — დამატებითი საზღაური, რომელსაც მოითხოვს პირი (ოჯახი) მოწინააღმდეგის ოჯახისაგან (გვარისაგან) მისი ტოლად მიუღებლობის, შესაფერისად არ ცნობის შემთხვევაში. კევანსა გავრცელებულია ძირითადად ლატალში, უღვირს ზევით ის ნაკლებად გამოიყენებოდა (ძლიერი თემის მქონე უშგულის გამოკლებით). ეს საზღაური გაიცემოდა მხოლოდ მიწით (მაქსიმუმი 3 „ნალჯევი“), იმის გამო, რომ დავიწყებას არ მისცემოდა (მიხეილ ფირცხელანი).

შდრ.: კევანშა — მიკედლება, სანახშოდ ერთი ადგილის აჩემა (ა. ლიპარტელიანი, 1994).

კუნკუილ — კურკა, კაკალი. მაგ.: ბარყუნდი *კუნკულარ* ოთშიდა ტყემლის კურკები დაუყრია“; მურაბაძექ ქილშარდს კუნკუილს ხალრეხ ქა სამურაბე ქლიავს კურკას აშორებენ“.

შდრ.: კურკა — კვირკვ (ბ. ნიჟარაძე, 2007).

ლალტუთაუშუ — ვითომ, თითქოსდა. მაგ.: *ლალტუთაუშუ* ესერ თიბე ჰაზუნისგა ლემარდ „თითქოსდა ზედა ეზოში ყოფილაო“; *ლალტუთაუშუ* ეჩელექშა ესერ აღმშალი „ვითომ იქ ჩამოდიოდაო“.

ლიბტკენალი // ლიბტკენე — დახამხამება (თვალის). მაგ.: თქმი უბტკენად ზოსგიდდა „თვალის დაუხამხამებლად უყურებდა“; თქრალს *აბტკენალდა* „თვალეხს ახამხამებდა“.

შდრ.: „დახამხამების“ მნიშვნელობით ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ გვხვდება ლირფგნალი; ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ — არფგნალი „აფახულებს“.

ლიკუცხი — გადაკვნეტა. მაგ.: დაჭარს *ობკუტაცხაბ* ქა „თხებს გადაუკვნეტიათ“; ჰალაგ ათსედა მკარ ი *ობკუტაცხაბ* ქულუმგენელს „ჭიშკარი დარჩენია ღიად და საქონელს გადაუკვნეტიათ“.

შდრ.: ლიკუცხი — გასხეპა.

ლინოქალი — ნებივრობა. მაგ.: ხობრობენდირ *ხანოქალა* „პატარაობიდან ანებივრებდა“; ამჟი ხობა *ქალინოქეს* „ასე იცის განებივრებამ“.

ლიურმინე — გაქანება. მაგ.: *ლაურმინოშ* ადსკინე ქა „გამოქანებით გადახტა“; *ქაიურმინაჲ* სგახედგრენდა „გაექანებოდა და ეძგერებოდა“.

ლიფსტუნე — ჩაჩურჩულება (ძირითადად ბქვ.-ში). მაგ.: იმ *ხაფსტუნს* ეჯის „რას ეჩურჩულებოდი იმას?“ მან ჯადა *ლეფსტუნალ* „რა გქონდა საჩურჩულო?“

შდრ.: **ლიფუნჩული** „ჩურჩული“ (ბ. ნიჟარაძე, 2007).

ლაქორდალ — გადამეტებული მზრუნველობა. მაგ.: ჟი ხეკუნდდა ეჩი *ლაქორდალს* „უნდებოდა მის გადამეტებულ მზრუნველობას“; *ლაქორდალშუ* ანგრდან „გადამეტებულ ზრუნვაში გაიზარდა“.

ლიღგრმაკალ // **ლიღგრმეკალ** — შეჩენა, ლაქუცი, ცდა რაიმეს დასაცდენად, დასატყუებლად. მაგ.: ხუნდს *იღგრმაკალ*, მარე მანგუნეშ *ოხკად* „ბევრს ელაქუცებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა“; ხუნდს *მეღგრმეკალ*, მრლე როქუ ლამქადი „ბევრს მელაქუცებოდა, რამე დამცდებოდა“.

ნალტრეჟე — ნიაღვარი. მაგ.: *ნალტრეჟეს* ოთფაქუნა ლარა „ნიაღვარს გაუფუჭებია მინდორი“; *ნალტრეჟეს* ოთხუნია „ნიაღვარს წაუღია“.

შდრ.: **ნარდჟედ** // **ნალტრედ** // **ნერდჟედ** // **ნარდოდ** — მღვრიე (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000); **ლიდროდი** — ამღვრევა (ბ. ნიჟარაძე, 2007).

ყანაშ — დათანხმება, დასტური, დიახ. მაგ.: *ჟო, ყანაშ*, ამჟი ლი „ჰო, დიახ, ასეა“; *ყანაშ*, ლემეყ მვზგე ლემარ „გეთანხმები, შეძლებული ოჯახი ყოფილა“.

წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულებიდან ზოგიერთი (მაგ., კეუნსა, ლალტთაჟეშუ, ყანაშ) დღეს მეტყველებაში იშვიათად გამოიყენება და ისიც ხანდაზმული პირების მიერ.

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ა. ლიპარტელიანი, 1994 - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1994.

ბ. ნიჟარაძე, 2007 - ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2007.

აწესუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფონდში (C - 1993-2004) დაცული სვანური დიალექტური მასალები.

DAVIT PIRTSKHELIANI**MATERIALS FOR SVAN DICTIONARY
(ACCORDING TO BALSZEMOURI SPEECH) II**

The team of the Svan text researchers of the Kartvelian Dialectology Institute, ATSU, collected and recorded dialectological materials during the field work in the Upper and Lower Svaneti (in the villages of Lenjeri, Latali, Tskhumari; Mele). The processing of the texts revealed lexical units that had not been registered in the existing dictionaries (V. Topuria, M.Kaldani, Svan Dictionary, 2000; A. Liparteliani, Svan-Georgian Dictionary; B.Nizharadze, Georgian-Svan-Russian Dictionary, 2007).

This paper discusses the following lexical units: *kevāsa//kevāša*, *kunḵwil*, *laḡwtawšu*, *libḱūnali//lipḱūne*, *liḱwchi*, *linḱāl*, *ližurmīne*, *lipḱtune*, *lipunčuli*, *likḱrdāl*, *liḡurmaḱāl//liḡurmeḱāl*, *naḡwrew*, *qanāš*.